Student Journal of Social Sciences

სტუდენტთა ჟურნალი

სოციალურ მეცნიერებებში

№24, ივნისი, 2023

„9 აპრილის“ ფენომენი საქართველოს სხვადასხვა თაობის კოლექტიურ მეხსიერებაში

სოფიკო ტაბატაძე

სახელმწიფო მართვისა და საჯარო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამა

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: tabatadzesophio1@gmail.com

აბსტრაქტი

1989 წლის 9 აპრილი საქართველოს მოსახლეობაში ამბივალენტურ დამოკიდებულებას იწვევს. მოვლენის აღქმა კიდევ უფრო განსხვავებულია სხვადასხვა თაობის მიერ. უდავოა, რომ ამ მოვლენის როლი შეუფასებელია, თუმცა ისტორიული შემთხვევების მხოლოდ ნაწილი იკავებს ადამიანის გონებაში ადგილს (Zerubavel, 2003). ხოლო, კონკრეტულ მოვლენებთან ბმას განსაზღვრავს „კოლექტივი"(Nora, 1989). აქ ჩნდება „კოლექტიური მეხსიერების" ფენომენიც, რომელიც ყოველდღიური ცხოვრების ნაწილია (wertsch, 2009). ასევე, შტომპკას (2004) „გამარჯვების ტრავმის" თეორიით ადამიანებისთვის სასურველი მოვლენაც, შეიძლება ტრავმულ გარემოებად გარდაიქმნას. შესაბამისად, საინტერესოა თაობების მიხედვით, როგორ არის გააზრებული 9 აპრილის ფენომენი.

კვლევის მიზანია განისაზღვროს საქართველოს მოსახლეობის 3 თაობის (X-თაობა, მილენიალები და GenZ-ი) კოლექტიურ მეხსიერებაში 1989 წლის 9 აპრილის მნიშვნელობა.

კვლევის მთავარი კითხვაა- როგორ არის გააზრებული 9აპრილის ტრაგედია საქართველოს X-ის, მილენიალებისა და GenZ-ის თაობის წარმომადგენლების კოლექტიურ მეხსიერებაში?

მიზნობრივი შერჩევის შედეგად კვლევის ობიექტებია: დედაქალაქში მცხოვრები X, მილენიალები და GenZ-ის თაობის წარმომადგენლები. ხოლო, საკვლევი მეთოდი არის თვისებრივი კვლევის სიღრმისეული ინტერვიუ და კონტენტ-ანალიზი.

კვლევის თეორიულ ჩარჩოს წარმოადგენს მაურის ჰალბაქვსის(1992) „კოლექტიური მეხსიერება". იგი გულისხმობს მოვლენის სოციალურად კონსტრუირებას, რომელიც ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფის მიხედვით განსხვავებულად ფორმირდება. დამატებით შეირჩა „თაობის ეფექტის" შესახებ თეორია(1989). კერძოდ, მოსახლეობა მნიშვნელოვან სოციალურ-პოლიტიკურ მოვლენებსა და ცვლილებებს თაობის შესაბამისად განსაზღვრავს. (Schuman&Scott,1989).

საკვანძო სიტყვები: „კოლექტიური მეხსიერება", „თაობების ეფექტი", „9 აპრილის ტრაგედია" და „კულტურული ტრავმა".

შესავალი

საქართველოს უახლეს ისტორიაში გარდამტეხი თარიღია 1989 წლის 9 აპრილი, რომელიც 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ სახელმწიფოს დამოუკიდებლობის გამოცხადებით დასრულდა. „9 აპრილს“ მოსახლეობაში 2 ძირითადი დატვირთვა აქვს: 1. სიამაყის, ვინაიდან ამ დროს საზოგადოებამ თავისუფლებისთვის ბრძოლაში უდიდესი კონსოლიდაციისა და გამბედაობის უნარი წარმოაჩინა. ზოგადად კი, სსრკ-ის რღვევას დაედო სათავე; 2. ტრაგედიის, რადგან მომიტინგების დარბევის შედეგად გარდაიცვალა 21 და დაშავდა ასობით ადამიანი. მართალია, მსგავსი მოვლენის როლი შეუფასებელია, თუმცა, ისტორიული შემთხვევის მხოლოდ ნაწილი იკავებს ადამიანების გონებაში ადგილს (Zerubavel, 2003). ხოლო, კონკრეტულ მოვლენებთან ბმას განსაზღვრავს „კოლექტივი“ (Nora, 1989). სწორედ, აქ ჩნდება „კოლექტიური მეხსიერების“ ფენომენიც. საკითხთან დაკავშირებით ი.ასმანი განიხილავს ნიცშეს მოსაზრებებს. კერძოდ, ნიცშეს მიხედვით, ცხოველთა სამყაროში გენეტიკური კოდები უზრუნველყოფს მათ გადარჩენას და ადამიანებმაც უნდა იპოვონ გზა, რომლითაც თვითმყოფადობას შეინარჩუნებენ. ასმანის განსაზღვრებით, „კულტურული მეხსიერების“ „კოლექტიური კონცეფცია“ მსგავს მოცემულობას ქმნის(1995).

„კოლექტიური მეხსიერება“ ყოველდღიური ცხოვრების ნაწილია. მას განსაკუთრებული მნიშვნელობა გეოპოლიტიკური ძვრებისა და კრიზისების დროს ენიჭება (wertsch, 2009). შესაბამისად, არსებითია საქართველოში ამ ფენომენის კვლევა. მართალია, ამ მიმართულებით გარკვეული ნაშრომები არსებობს, თუმცა ისინი ძირითადად ფოკუსირებული არიან ზოგადად მეხსიერების პოლიტიკასა და მასში „9 აპრილის ტრაგედიის“ როლზე (მაგალითად: ქეთი სართანიას ნაშრომი „1989 წელი: საპროტესტო აქციები და მათი გავლენა საქართველოს უახლეს ისტორიაზე“ ან, ლევან კაპიტოლოვის ნაშრომი „1989: მეხსიერების ცვლილება). ამ შემთხვევაში სხვადასხვა თაობის მიერ ამ მოვლენის აღქმის ასპექტები ყურადღების მიღმა რჩება. ამიტომაც, საინტერესოა განსხვავებული თაობის მიერ როგორ არის გააზრებული და რა როლი ეკისრება „9 აპრილის ტრაგედიას“. მაგალითად, ეს მათთვის არის ჩვეულებრივი თარიღი, თუ აკავშირებთ მოვლენასთან ემოციური ბმა. საკითხს კიდევ უფრო საინტერესოს ხდის ის, რომ ზოგიერთი ავტორის მტკიცებით: საქართველოს მოსახლეობაში დღემდე არსებული „სსრკ“-ისადმი ნოსტალგია მიუთითებს ჩვენი ქვეყნის „კოლექტიურ მეხსიერებაში“ 9 აპრილის ტრაგედიის ნაკლებად გააზრებაზე (რუხაძე, 2008). აღსანიშნავია, რომ პ.შტომპკას „გამარჯვების ტრავმის“ თეორიით (იგი ეყრდნობა საბჭოთა კავშირის შემდგომ პოლონეთის გამოცდილებას) ადამიანებისთვის სასურველი მოვლენაც კი შეიძლება ტრავმულ გარემოებად გარდაიქმნას. ეს შემდგომ გამოიხატება მათი მხრიდან საყოველთაო უნდობლობაში, წარსულისადმი ნოსტალგიაში, პოლიტიკურ აპათიასა და ა.შ. (Stompka, 2004). ეს მოცემულობა კი, მოქალაქეების ცნობიერებას ფუნდამენტურად ცვლის (Alexander, 2004). მეტიც თუ, „კულტურული ტრავმა“ საზოგადოების მიერ დაძლეული არ იქნება, მაშინ საფრთხე ექმნება სახელმწიფოს ჰარმონიულ განვითარებას (Gudaitė & Stein 2014). მნიშვნელოვანია, შევისწავლოთ ეს გარემოებები როგორ ვლინდება საქართველოს სხვადასხვა თაობაში. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ისტორიისადმი დამოკიდებულება მუდმივად იცვლება (Foner, 2002). აღნიშნულ ვითარებას, კიდევ უფრო

ამძაფრებს ჩვენი ქვეყნისთვის სახასიათო პოლიტიკური ძვრები (მაგ: 2003 წ. ვარდების რევოლუცია 2020, 2022, 2023 წლების მოვლენები და ა.შ).

კვლევა ეყრდნობა სოციალურ კონსტრუქტივიზმს. კერძოდ, საკვლევ თეორიულ ჩარჩოდ შეირჩა მაურის ჰალბაქვსის „კოლექტიური მეხსიერება". მისი განმარტებით კოლექტიური მეხსიერება, ესაა მოვლენის/ების სოციალურად კონსტრუირება, რომელიც ადამიანის სხვადასხვა ჯგუფის მიხედვით განსხვავებულად ფორმირდება. კერძოდ, ინდივიდის მიერ ისტორიული მოვლენების კონსტრუირება ხდება ამ პიროვნების აწმყოსა და საზოგადოებრივი კუთვნილების გათვალისწინებით. ჰალბაქვსი ფოკუსირებულია არა ისტორიული ფაქტის დამახსოვრებაზე, არამედ მის გააზრებაზე. შესაბამისად, წარსული აღქმულია აწმყოში მუდმივად ცვალებად ფენომენად (Halbwachs,1992). ასმანი კი, „კოლექტიურ მეხსიერებას" ცოცხალ ფენომენად აღიქვამს (1995). ამ შემთხვევაში, წარსულისადმი დამოკიდებულება ყალიბდება იმის მიხედვით თუ, რა ახსოვს თაობას. ჰანს მოლის აზრით კი, საზოგადოებას წარსულის შენარჩუნების უნარი არ შესწევს. ადამიანთა ჯგუფებს, მათი რეალობიდან გამომდინარე მხოლოდ ისტორიის რეკონსტრუირება შეუძლიათ (1976). დამატებით შეირჩა „თაობის ეფექტის" შესახებ თეორია (1989). ჰოვარდ შუმანისა და ჟაკლინ სკოტის მიერ აშშ-ში ჩატარებული კვლევის მიხედვით, მოქალაქეები მნიშვნელოვან სოციალურ-პოლიტიკურ მოვლენებსა და ცვლილებებს განსაზღვრავდნენ მათი თაობების შესაბამისად (Schuman&Scott,1989).

ნაშრომის მიზანია განსაზღვროს საქართველოს მოსახლეობის 3 თაობის (X-ის, მილენიალებისა და GenZ-ის თაობა) კოლექტიურ მეხსიერებაში 1989 წლის 9 აპრილის მნიშვნელობა. ხოლო, მიზნის განსახორციელებლად შევიმუშავე შემდეგი ამოცანები: 1. X- ის, მილენიალებისა და GenZ-ის თაობის წარმომადგენლების დამოკიდებულების შესწავლა „9 აპრილის ტრაგედიასთან" დაკავშირებით; 2. საკვლევად შერჩეული თაობების მიერ 1989 წლის 9 აპრილზე შექმნილ „კოლექტიურ მეხსიერებას" შორის საერთო და განსხვავებული ასპექტების დადგენა; კვლევის კითხვას წარმოადგენს - როგორ არის გააზრებული 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედია საქართველოს X- ის, მილენიალებისა და GenZ-ის თაობის წარმომადგენლების კოლექტიურ მეხსიერებაში? კვლევის დამატებითი კითხვებია: საკვლევად შერჩეული თაობების მიხედვით რა მნიშვნელობა ენიჭება „9 აპრილის ტრაგედიას"? როგორც კულტურული ტრავმის თუ, უდიდესი სიამაყის? რომელ მოვლენას და რატომ განიხილავენ „9 აპრილის ტრაგედიის" შედეგად?

ნაშრომში განხილული თეორიების მიხედვით, სავარაუდო დაშვების სახით მოსალოდნელია, რომ სხვადასხვა თაობის მიხედვით, არაერთგვაროვნად იქნება შეფასებული და აღქმული 1989 წლის 9 აპრილი. თუმცა, საქართველოს სოციალურ, ეკონომიკური და პოლიტიკური ლანდშაფტის გათვალისწინებით რთულია იმის განსაზღვრა რომელი თაობა რა მნიშვნელობას მიანიჭებს ამ ისტორიულ მოვლენას.

კვლევის მეთოდოლოგია

ნაშრომის თემიდან გამომდინარე მიზნობრივი არაალბათური შერჩევის გამოყენებით საკვლევ სუბიექტებად განვსაზღვრე დედაქალაქში მცხოვრები:

- X თაობის წარმომადგენლები (1961–1981წწ დაბადებულები). ჩატარდა 4 სიღრმისეული ინტერვიუ;
- მილენიალების თაობის წარმომადგენლები (1981-2000წწ დაბადებულები). გამოიკითხა 4 რესპონდენტი;
- GenZ თაობის წარმომდგენელები (2000 წლის შემდეგ დაბადებულები) გამოიკითხა 4 რესპონდენტი;

საკვლევად შერჩეული იქნა თბილისი, რადგან საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი მთელი ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა გარემოების გამო, (უნივერსიტეტში სწავლის გასაგრძელებლად, ეკონომიკური ფაქტორების და სხვა), დედაქალაქში ცხოვრობს. გარდა ამისა, „9 აპრილის ტრაგედია“ უშუალოდ თბილისში მოხდა. მოსახლეობის სხვადასხვა თაობის შერჩევა განპირობებულია იმით, რომ კოლექტიური მეხსიერება, ყალიბდება საერთო იდენტობისა და შეხედულებების საფუძველზე. მათზე გავლენას კი, ადამიანებს შორის ურთიერთობებისას კოგნიტური, ემოციური ფაქტორები და მათ რეალობაში არსებული საჭიროებები ახდენენ (Lauren&Mercy, 2015). ასევე, ეს შესაძლებლობას მოგვცემს შევადაროთ განსხვავებული თაობებისთვის 9 აპრილის ტრაგედიის მნიშვნელობა. ხოლო, X-თაობიდან მოსახლეობის შერჩევა საქართველოში საშუალო სიცოცხლის ხანგრძლივობამ განაპირობა (75 წელი (საქსტატი, 2021)).

კვლევის ლიმიტაციაა, რომ რესურსების შეზღუდულობის გამო, ვერ განხორციელდება ფართომასშტაბიანი ინტერვიუების ჩატარება (კერძოდ, 12 ინტერვიუს ნაცვლად უმჯობესია მასობრივი ინტერვიუს ჩატარება).

ემპირიული მონაცემების შეგროვებისთვის გამოვიყენე სიღრმისეული ინტერვიუს მეთოდი და კონტენტ-ანალიზი. კერძოდ, ინტერვიუს ჩატარება დამეხმარა რესპონდენტებთან საუბრისას სიღრმისეული ინფორმაცის მიღებაში. ასევე, შემეძლო მათ რეაქციებზე დაკვირვებაც. კონტენტ-ანალიზის გამოყენებით კი, გავაანალიზე ინტერვიუების შედეგად მოპოვებული მასალები.

კვლევის შედეგები წარმოდგენილია თითოეული თაობის შესწავლით მიღებული მონაცემების შედარების საფუძველზე. ვინაიდან, 1989 წლის 9 აპრილის აღქმას თაობებს შორის კოლექტიური მეხსიერების ფენომენოლოგიის ჭრილში ვიკვლევდი, მონაცემთა ანალიზისთვის გამოვიყენე შემდეგი ტექნიკები: განვახორციელე ინტერვიუების კოდირება. შემდგომ ეს კოდები თემატურად დავალაგე. კერძოდ თავიდან გამოვიყენე ნარატიული ანალიზი (რა ითქვა რესპონდენტის მიერ 1989წ 9 აპრილზე). შემდეგ კი, ჩავატარე სტრუქტურული ანალიზი (როგორი მოსაზრებები გამოითქვა 9 აპრილის შესახებ). ასევე, პერფომანსის ანალიზით შევისწავლე რესპონდენტების მიერ ინტერვიუს პროცესისას გამოყენებული ჟესტიკულაცია და ქცევა (მაგალითად: X-ის

რესპონდენტს 9 აპრილის მოვლენების გახსენებისას თვალზე ცრემლი ადგებოდა. ხოლო, GenZ-ის რესპონდენტებს 9 აპრილზე საუბრისას თვალები უნათდებოდათ).

თეორიული ასპექტები

კვლევის ძირითად კითხვას წარმოადგენს: როგორ არის გააზრებული 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედია საქართველოს X- ის, მილენიალებისა და GenZ-ის თაობის წარმომადგენლების კოლექტიურ მეხსიერებაში? შესაბამისად მნიშვნელოვანია, განვიხილოთ ნაშრომები ერთის მხრივ, კოლექტიური მეხსიერების შესახებ და მეორეს მხრივ, არსებითია „თაობების ეფექტზე/გავლენაზე" მასალების გაანალიზებაც. დამატებით, ნაშრომში განხილულია „9 აპრილის ტრაგედიის" შესახებ საქართველოში არსებული კვლევებიც.

თავდაპირველად „კოლექტიური მეხსიერების" ტერმინი დაამკვიდრა ფრანგმა სოციოლოგმა და ფილოსოფოსმა მაურის ჰალბაქვსმა (1992). ამიტომაც, მნიშვნელოვანია განვიხილო მისი წიგნი „„კოლექტიურ მეხსიერებაზე". კერძოდ, ჰალბაქვსის (1992) მიზანი იყო განესაზღვრა კოლექტიური მეხსიერების მნიშვნელობა. ხოლო, მის მთავარ კითხვას წარმოადგენდა- *როგორ ფორმირდება კოლექტიური მეხსიერება?* (Halbwachs,1992). მსგავსი მიდგომა დაგვეხმარება გავაანალიზოთ აქტორები, რომლებიც 9 აპრილის შესახებ თაობების კოლექტიური მეხსიერების ჩამოყალიბებაზე ზემოქმედებენ. თეორიის მიხედვით, „კოლექტიური მეხსიერება", არის მოვლენის სოციალურად კონსტრუირება, რომელიც ყალიბდება სხვადასხვა ჯგუფის მიხედვით (Halbwachs,1992). კერძოდ, ინდივიდის მიერ ისტორიული მოვლენის კონსტრუირება ხდება ამ პიროვნების აწმყოსა და საზოგადოებრივი კუთვნილების გათვალისწინებით. ჰალბაქვსი ყურადღებას ამახვილებს არა ისტორიული ფაქტის დამახსოვრებაზე, არამედ მის გააზრებაზე (Halbwachs,1992). ამ შემთხვევაში სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფი განსხვავებული „კოლექტიური მეხსიერების" მქონეა. ვინაიდან, ინდივიდი საკუთარ თავს წარსულისა და აწმყოს შეპირისპირებით შეიცნობს (Halbwachs, M. 1992). უფრო მეტიც, საზოგადოების „ზეწოლის", გავლენისა და კარნახის შესაბამისად ყალიბდება წარსულის აღქმა, ამავე საზოგადოების ნორმებსა და პრინციპებზე დაყრდნობით (Halbwachs, M. 1992). ასევე, ჰალბვაქსმა(1992) გამიჯნა „ავტობიოგრაფიული" და „ისტორიული" მეხსიერება. „ავტობიოგრაფიული" მეხსიერება უკავშირდება პერსონალურ გამოცდილებას. თუ, მას ეტაპობრივად არ გააძლიერებენ, იგი გაქრობისკენაა მიდრეკილი. ხოლო, „ისტორიული" მეხსიერების შემთხვევაში წარსული ინახება და მისი ინტერპრეტირება სოციალური ინსტრუმენტების გამოყენებით ხორციელდება (Halbwachs, M. 1992).

გერმანელი კულტურის ისტორიკოსი ი. ასმანი (1995) ჰალბაქვსის თეორიაზე დაყრდნობით „კოლექტიური მეხსიერების" კონცეფციებს განსაზღვრავს (ძირითადი ასპექტები და მახასიათებლები). იან ასმანი (1995) ნაშრომში, „კოლექტიური მეხსიერება და კულტურული იდენტობა", აღნიშნავს რომ წარსული აწმყოში მოდელირებული და თავიდან „გამოგონილია". მისი მტკიცებით კოლექტიური მეხსიერება განსაზღვრავს კულტურულ იდენტობას. კულტურული მეხსიერების ფუნქციაა საზოგადოების, ინდივიდის „გადარჩენა" (Assmann J. 1995). ი. ასმანის (1995) მიგნებით, კოლექტიური მეხსიერება ხასიათდება 3 ტიპის რეფლექსურობით: 1. პრაქტიკული-რეფლექსურობა (მაგალითად: უძველეს დროში

მსხვერპლშეწირვის რიტუალები); 2. თვითრეფლექსურობა- ამ დროს ხდება ხელახალი ინტერპრეტაცია, კრიტიკა მოვლენის; 3. ბოლო, ესაა საკუთარი იმიჯის ერთგვარი რეფლექსია, რომელიც ასახავს ჯგუფის სოციალურ სისტემას. ი. ასმანის (1995) მტკიცებით კულტურული მეხსიერების „კულტივაცია"საზოგადოების თვითშეფასების სტაბილიზაციას და გადმოცემას ემსახურება. „კულტურული მეხსიერება" მოიცავს წარსულის გამეორების შიშსაც (იგულისხმება ნეგატიური გამოცდილება, მოვლენები) (Assmann J. 1995). ასმანი (1995) გამოყოფს „კოლექტიური მეხსიერების" ორ კონცეფციას: 1. „კომუნიკაციური" იგივე „ყოველდღიური მეხსიერება". იგი მხოლოდ 80-100 წელი არსებობს და ყალიბდება უშუალოდ ადამიანებს შორის ინტერაქციით. ასეთი მეხსიერება არსებობს მანამ, სანამ მისი მატარებელი ჯგუფები არიან ცოცხალი. 2. „კულტურული მეხსიერების" შემთხვევაში „კომუნიკაციური მეხსიერებიდან ასმანისეული (1995) ტრანზაქციის საშუალებით გადადის მოვლენები. ამ მეხსიერების დროითი დიაპაზონი უცვლელია (Assmann. 1995). როგორც ასმანის (1995), ისე ჰალბვაქსის (1992) ნაშრომების გამოყენებით შესაძლებელი იქნება: 1. განისაზღვროს „9 აპრილის ტრაგედია" თუ, რომელი კულტურული მეხსიერების კონცეფციაში ერთიანდება; 2. ასევე „9აპრილის ტრაგედია" რომელი ტიპის რეფლექსურობით ხასიათდება.

ლ. ლაურენი და ა. მერსი (2015) კოლექტიური მეხსიერების დამატებით ასპექტებს განიხილავდნენ. მათი ნაშრომის, „კოლექტიური მეხსიერება, სოციალური ფსიქოლოგია", მიზანია კოლექტიური მეხსიერების მნიშვნელობისა და მის ჩამოყალიბებაზე მოქმედი ფაქტორების განსაზღვრა. ამ შემთხვევაში კოლექტიური მეხსიერების ჩამოყალიბებაზე გავლენას ახდენს კოგნიტური და ემოციური ფაქტორები, რომლებიც გამოიყენება ადამიანებთან ურთიერთობისას (Laurent & Mercy, 2015). ეს გულისხმობს, რომ კოლექტიური მეხსიერება ნარატივის სახით ყალიბდება და ჯგუფებს გადაეცემა. „კოლექტიური მეხსიერება" გავლენას ახდენს აწმყოზე, მაგრამ მასზე ასევე არსებული ფსიქოლოგიური მდგომარეობა და საჭიროებები მოქმედებს (Laurent & Mercy, 2015). ამ მიდგომის საშუალებით შესაძლებელია განისაზღვროს ის ფსიქოლოგიური მდგომარეობა და საჭიროებები, რომლებიც თაობებში 9 აპრილის აღქმას აყალიბებენ. ლაურენისა და მერსის (2015) მტკიცებით კოლექტიური მეხსიერება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჯგუფებს შორის კონფლიქტისა და შერიგების პროცესში.

თაობების კოლექტიურ მეხსიერებაში 9 აპრილის ადგილის განსაზღვრისთვის უნდა გავითვალისწინოთ, რომ ადამიანებისთვის სასურველი მოვლენებიც შეიძლება იქცეს მათთვის ტრავმის მიზეზად. ჯეფრი ალექსანდერი (2012), ამერიკელი სოციოლოგი, აყალიბებს „ტრავმის სოციალურ თეორიას". მის მიზანს წარმოადგენდა „კულტურულ ტრავმასა" და „კოლექტიურ მეხსიერებას" შორის კავშირის განსაზღვრა. ალექანდერის (2012) ნაშრომის „კულტურული ტრავმა და კოლექტიური იდენტობ"-ის მიგნების მიხედვით, ტრავმა განპირობებულია არა მხოლოდ, ინდივიდის ფსიქოლოგიური მდგომარეობით, არამედ მოვლენის კოლექტიური გამოცდილებით. ტრავმული მოვლენა მაშინ ყალიბდება, როდესაც საქმე გვაქვს ისტორიულ მოვლენასა და ადამიანურ ბუნებას შორის ურთიერთწინააღმდეგობასთან (Alexander, 2012). ამ შემთხვევაში საზოგადოება იაზრებს, რომ კონკრეტული მოვლენა მათ კეთილდღეობას/ სასურველ მომავალს უქმნის საფრთხეს (Alexander, 2012). ალექსანდერი (2012) აღნიშნავს, რომ მსგავსი მოვლენები

მოქალაქეების ცნობიერებას ფუნდამენტურად ცვლის(Alexander, 2012). თეორიის ერთგვარი უპირატესობა არის ის, რომ ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებას ღრმად იკვლევს.

საკითხის სიღრმისეულობისთვის მნიშვნელოვანია განვიხილოთ ასევე პ.შტომპკას(2004) „გამარჯვების ტრავმის თეორია", რომელიც ეფუძვნება პოლონეთში პოსტსაბჭოთა მოვლენების განვითარებას. ეს ნაშრომი კვლევისთვის განსაკუთრებით საინტერესოა, საქართველოსა და პოლონეთის მსგავსი, საბჭოური და პოსტსაბჭოური, ისტორიული გამოცდილების საფუძველზე. პიოტრ შტომკას საკვლევი კითხვა იყო თუ, რა ტიპის ცვლილებებია ტრავმული? შტომპკა (2004) ნაშრომის, „სოციალური ცვლილებების ტრავმა: პოსტკომუნისტური საზოგადოებების მაგალითზე" მიხედვით, კომუნიზმის კოლაფსი იყო ტრავმული ცვლილება, რომელსაც რთული ისტორიული მოვლენები უძღვებოდა წინ. „გამარჯვების ტრავმის თეორიით" (Stompka, 2004) მტკიცდება, რომ ადამიანებისთვის სასურველი მოვლენაც, შეიძლება ტრავმულ გარემოებად გარდაიქმნას. შტომპკა აღნიშნავს (2004), რომ მსგავსი ტრავმული მოცემულობა შემდგომ ადამიანების მხრიდან საყოველთაო უნდობლობაში, პოლიტიკურ აპათიაში, წარსულისადმი ნოსტალგიასა და ა.შ გამოიხატება.

ამერიკელმა მკვლევრებმა შუმანმა და როჯერმა(2004) აშშ-ში ჩაატარეს კვლევა და მასობრივი გამოკითხვის საშუალებით განსაზღვრეს ამერიკის მოქალაქეებისთვის ბოლო 70 წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი მოვლენები. კვლევის შედეგები წარმოდგენილია სტატიაში „კოჰორტები, ქრონოლოგია და კოლექტიური მეხსიერება". შუმანისა და როჯერსის (2004) მიზანი იყო დაედგინათ თუ, როგორ იცვლებოდა მნიშვნელოვანი მოვლენის აღქმა კოჰორტების მოხედვით. კვლევის მიგნების გათვალისწინებით, ადამიანებს ახსოვთ მოვლენები, რომლებიც შეესაბამება მათ აწმყოსა და ფსიქოლოგიურ მდგომარეობას (Schuman& Rodgers, 2004) . მაგალითად, ამ კვლევის შედეგებით 11 სექტემბრის თავდასხმასა და 1938 წლის მიუნხენის შეთანხმებას, ან პერლ ჰარბორს შორის ანალოგიების ჩამოყალიბებით შესაძლებელი გახდა ამ თავდასხმების ომის მეტაფორის პრიზმაში გაანალიზება/ აღქმა. შუმანისა და როჯერის კვლევამდე მსგავსი კვლევა აშშ-ში ჰოვარდ შუმანისა და ჟაკლინ სკოტის მიერ 1989 წელს ჩატარდა. ამ კვლევის საფუძველზე „თაობის ეფექტის" შესახებ თეორია ჩამოაყალიბდა (Schuman&Scott,1989). კვლევის შედეგები წარმოდგენილია ნაშრომში „თაობები და კოლექტიური მეხსიერება" (Schuman&Scott,1989).

მათი მიგნებებით: 1. მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფი განსხვავებულ მოვლენებსა და ცვლილებებს იხსენებდა (განსხვავებები განსაკუთრებით შეინიშნებოდა ახალგაზრდებსა (18 წლის ზემოთ) და შუახნის მოსახლეობას შორის); 2. ასევე, კვლევის შედეგები კოჰორტების მიხედვით განსხვავდებოდა; ამ თეორიის საშუალებით შესაძლებელია თაობებს შორის 9 აპრილის აღქმის განსხვავებების ახსნა.

განხილული თეორიების კომბინაციით შესაძლებელია 9 აპრილის შესახებ არსებული კოლექტიური მეხსიერების სიღრმისეულად მიმოხილვა. თუმცა, ცალ-ცალკე ეს თეორიები სრული სურათის ჩამოყალიბებაში ვერ დაგვეხმარება. ვინაიდან, მათი ერთი ნაწილი ფოკუსირებულია კოლექტიური

მეხსიერების ფორმირების ფაქტორებზე, მეორე ნაწილი თაობების მიხედვით მეხსიერების ცვლილებაზე და ა.შ.

თვისებრივი კვლევის შედეგები

კვლევის შედეგად მოპოვებული ემპირიული მონაცემების ანალიზი თაობების მიხედვით წარმოდგენილია ქვეთავებად. თითოეულ ქვეთავში განხილულია საკვლევი ობიექტის მიერ 9 აპრილის ფენომენის აღქმის მახასიათებლები.

1989 წლის 9 აპრილი GenZ-ის თაობის კოლექტიურ მეხსიერებაში

GenZ-ის თაობის მიერ 1989 წლის 9 აპრილისთვის მინიჭებული მნიშვნელობისა და ასოციაციების მიხედვით: აღნიშნული მოვლენა ადგილს იკავებს მათი „კოლექტიური მეხსიერების“ ორივე კონცეფციაში (Assmann J. 1995). კერძოდ, GenZ-ის შემთხვევაში 9 აპრილი არის როგორც „ყოველდღიური მეხსიერებაში“ (მაგ: მათი აზრით, მიუხედავად ასაკისა თითოეული ადამიანის მოვალეობაა ამ მოვლენის ცოდნა), ისე „კულტურულ მეხსიერებაში“ (GenZ-ის თაობის წარმომადგენლები თავისი გამოცდილების შესაბამისად განმარტავენ მოვლენას). ვინაიდან, ამ თაობის წარმომადგენლები 9 აპრილს განსაზღვრავენ, როგორც სსრკ-ის წინააღმდეგ ბრძოლას თავისუფლებისთვის. განსაკუთრებით ხაზს უსვამენ, რომ აქციაზე მყოფმა ადამიანებმა იცოდნენ სისტემისგან მოსალოდნელი სასიკვდილო საფრთხის შესახებ თუმცა, „დამოუკიდებლობის“ იდეით უკან არ დაიხიეს. ინტერვიუებში აღნიშნავენ, რომ: „ეს იყო სიცოცხლისთვის საშიში საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლა, რომლითაც დაიცვეს თავიანთი იდეოლოგია და სამშობლო, რისთვისაც იბრძოდნენ. ეს არის სიმბოლო: ერის გამოღვიძების, ბრძოლის, ჟინისა და თავისუფლების გამოხატულების. როგორც ერს აღარ გვსურდა ვინმეს ვემართეთ, როგორც ილიამ თქვა: „გვინდა საკუთარი თავი თავადვე გვეკუთვნოდეს“. GenZ-ის წარმომადგენლებთან ინტერვიუების საშუალებით დგინდება, რომ 1989 წლის 9 აპრილს ორ მნიშვნელობას ანიჭებენ: ერთის მხრივ, ეს არის ტკივილი. ტრაგედია, რომელსაც უდანაშაულო ადამიანები შეეწირა. მეორეს მხრივ, გამარჯვება, რომელიც 1991 წელს თავისუფლების შესახებ აქტით დასრულდა. თუმცა, ეს თაობა საკითხზე საუბრისას ამ უკანასკნელს ანიჭებს პრიორიტეტს. ვინაიდან, 9 აპრილის როგორც ტრაგედიის აღქმაზე თითქმის არ საუბრობენ და აღნიშნავენ, რომ: „ეს იყო ბრძოლა სისხლით, რომლის შედეგიც საქართველოს დამოუკიდებლობაა. 9 აპრილი დაუსრულებელი ტოტალური მმართველობის ნგრევაში ფუნდამენტური შენატანია“. მეტიც, მათივე აზრით არ აქვს მნიშვნელობა საქართველოს მოქალაქე მონაწილეობდა თუ არა 9 აპრილის გამოსვლებში „ყველას მოვალეობაა ამ თარიღის ცოდნა“. ვინაიდან, ეს იყო „კოლექტიური მარწუხებიდან თავის დაღწევა”.

GenZ-ის თაობაში 9 აპრილის რამდენიმე „მარკერი“ არსებობს. ამ თაობის „კოლექტიური მეხსიერების“ ჩამოყალიბებაზე გავლენას ახდენს შესაბამისი კოგნიტურ ემოციური ფაქტორები,

რომლებიც აღნიშნულ „მარკერებს“ უკავშირდება (Laurent & Mercy, 2015). სწორედ, ამით აიხსნება, რომ: მოსახლეობის ეს ჯგუფი 9 აპრილის შესახებ იხსენებდა განსხვავებულ ასპექტებსა და ცვლილებებს (Schuman&Scott,1989). ეს გარკვეულწილად მიუთითებს იმაზეც, რომ მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოვლენებსა და სოციალურ ცვლილებებთან დაკავშირებით კოლექტიური მეხსიერება ასაკის მიხედვით არის სტრუქტურირებული (Schuman&Scott,1989).

ამ შემთხვევაში, GenZ-ის თაობაში 9 აპრილის შესახებ ცნობიერება ეტაპობრივად ყალიბდება. მათ მიერ მოვლენის აღქმაზე რამდენიმე აქტორი ახდენს გავლენას. ისინი თავდაპირველად საკითხის შესახებ ინფორმაციას სკოლიდან (სკოლაში ჩატარებული ღონისძიებებიდან) და ნარატიული ტექსტებიდან იგებენ. შემდგომ კი, მოვლენასთან ემოციური ბმა უჩნდებათ, როდესაც დამოუკიდებლად იწყებენ მოკვლევას. კერძოდ, 9 აპრილის მონაწილეების ინდივიდუალურ ისტორიებს აანალიზებენ და ოჯახის წევრების (ძირითადად ბებია-ბაბუების და მშობლების) მონათხრობს უსმენენ. ასევე, მათთვის 9 აპრილის მნიშვნელობის მარკერი არის საქართველოში მიმდინარე პროცესები. როგორც აღნიშნავენ: „საქართველოს *თანამედროვე ეპოქამ, იმან, თუ დღეს რა საფრთხეშიც დგას ჩვენი ქვეყანა კიდევ უფრო გამიმძაფრა 9 აპრილისადმი დამოკიდებულება“.* GenZ-ის თაობის ინტერვიუების მიხედვით, დგინდება რომ სხვადასხვა აქტორისგან მიღებული ინფორმაციის პარალელურად მათი დამოკიდებულება 9 აპრილზე იცვლებოდა. კერძოდ, სიამაყის, ბრძოლის ჟინისა და გაუტეხლობის აღქმა მხოლოდ მაშინ გაუჩნდათ, როდესაც მოვლენის შესახებ ინფორმაცია დამოუკიდებელი მოკვლევით მიიღეს. მაგალითად, ერთ-ერთი რესპონდენტი იხსენებს კადრებს: *„ყველაზე ემოციური მონაკვეთი, რაც ჩემს ცნობიერებაში არის (თვალები უწყლიანდება- გამოიხატება მისი გულწრფელი დამოკიდებულება მოვლენისადმი) პატრიარქის მიმართვა ამ ხალხისადმი: რომ დაიშალეთ არსებობს რეალური საფრთხე და შემოვლენ ტანკებით, დაგარბევენ. ამ დროს შეკრებილი ათასობით ადამიანის პასუხი აბსოლუტურად ერთ ხმაში იყო - არა, ჩვენ არ მივდივართ. მათთვის უკან დახევა იყო- თავისუფლებაზე უარის თქმა“.*

აღსანიშნავია, რომ GenZ-ის თაობა საქართველოში დღეს მიმდინარე პროტესტსა და 9 აპრილის ტრაგედიას შორის პირდაპირ კავშირს ხედავს. კერძოდ აღნიშნავენ, რომ: *„1989 წლის 9 აპრილს ჩვენი მტერი იყო სსრკ. დღეს 2023 წელს კი- რუსეთის ფედერაცია, რომელსაც ოკუპირებული აქვს ჩვენი ქვეყნის 20%.“* შესაბამისად, ამ თაობის მოსაზრებით 1989წ და 2023 წელსაც საქართველოს სახელმწიფოებრიობის დანგრევას ცდილობს ჩრდილოელი მეზობელი. მეტიც, მათი აზრით 9 აპრილის გააზრება დღეს დაგვეხმარება სახელმწიფოს კურსის სწორად წარმართვაში. თუმცა, როდესაც ისინი დღევანდელ პროტესტს 9 აპრილს ადარებენ განსხვავებებსაც გამოყოფენ. კერძოდ, მათი აზრით ჩვენს ქვეყანაში პოლიტიკური პარტიებისა თუ პოლარიზაციის გამო, სამოქალაქო საზოგადოების კრიზისი გვაქვს, ამიტომ, ზეპარტიული ერთობის საჭიროება იქმნება. 9 აპრილს კი, მოსახლეობაში მსგავსი „დათიშულობა“/დანაწევრება არ შეინიშნებოდა. შესაბამისად, ამ თაობისთვის 9 აპრილი ერთიანობის იდეას ატარებს. „GenZ“-ის შეხედულებით, სწორედ, მსგავსი გარემოების ბრალია, რომ *„ისტორიულ წრეზე ვტრიალებთ“.* ამას ადასტურებს ისიც, რომ სსრკ რუსეთმა ჩაანაცვლა და კვლავ დამოუკიდებლობისთვის ვიბრძვით. ამ პროტესტებს შორის კიდევ ერთ განმასხვავებელ ასპექტად იმასაც განიხილავენ, რომ 9 აპრილის პროტესტმა მიზანს მიაღწია. თანამედროვე საქართველოს საპროტესტო აქციები

კი, მსგავსი შედეგებით იშვიათად სრულდება. თუმცა, ამ თაობის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ მარტის აქციები 9 აპრილის ტრაგედიის უკეთ გააზრებაში დაეხმარათ. კერძოდ, მეტად დააფასეს პროტესტში ახალგაზრდების როლი. „GenZ"-ის თაობის თქმით: „9 აპრილის სულისკვეთება დღევანდელობაში ტრანსფორმირდა. თითქოს 7-8 მარტს 9 აპრილი რაღაცნაირად გაცოცხლდა". ამიტომაც, ეს თაობა მარტის აქციებსა და 9 აპრილის პროტესტს შორის მნიშვნელოვან ბმას ხედავს.

GenZ-ის თაობის წარმომადგენლები 9 აპრილის გავლენასა და შედეგებს პოზიტიურად აფასებენ. კერძოდ, ამ მოვლენების საშუალებით დაინახეს, რომ ერთიანობის საშუალებით ყოველთვის შეიძლება მიზნის მიღწევა. *„არასოდეს არ უნდა ჩავიქნიოთ ხელი, რადგან 9 აპრილის პროტესტის მონაწილეებს მაგალითად ჰქონდათ ჩეხოსლოვაკიაში და უნგრეთში საბჭოთა რეჟიმის მიერ გამოყენებული ძალა პროტესტის წინააღმდეგ, თუმცა ხალხი მაინც არ დანებდა და რეჟიმს შეუდრეკლობა აჩვენეს"*- ერთ-ერთი რესპონდენტის ეს სიტყვები მიუთითებს, რომ მათთვის 9 აპრილი მოტივაციის მომცემია. ამ მოვლენის საშუალებით „GenZ" -ის თაობის წარმომადგენლებმა გაიაზრეს ახალგაზრდების პროტესტის მნიშვნელობა. მათი აღქმით, 9 აპრილმა სსრკ-ში გახსნა უპრეცედენტო „შესაძლებლობების ფანჯარა", ვინაიდან უზარმაზარი სსრკ-ის წინააღმდეგ შიშველი ხელებით იდგა ხალხი მაშინ, როდესაც იზღუდებოდა სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება. ამ თაობის რესპონდენტები 9 აპრილის შედეგებად განიხილავენ: საქართველოში 1990 წელს პირველი მრავალპარტიული არჩევნების ჩატარებას; რეფერენდუმის ჩატარებას; 1991 წელს საბჭოთა კავშირის ოფიციალურად დაშლას; სსრკ-ის წყალშემდგარ მდგომარეობას; საქართველოს ევროპისკენ სწრაფვას, რომელიც გახდა სტიმული სხვა რესპუბლიკებს ებრძოლათ ტირანული მმართველობის წინააღმდეგ.

1989 წლის 9 აპრილი მილენიალების კოლექტიურ მეხსიერებაში

მილენიალების შემთხვევაში მონაცემთა ანალიზისას 9 აპრილის შესახებ მათი ამბივალენტური დამოკიდებულება ვლინდება. კერძოდ, ამ თაობაში „კულტურული ტრავმისა და კოლექტიური იდენტობის" თეორიის (Alexander, 2012) ასპექტები იკვეთება. ამ შემთხვევაში ტრავმა განპირობებულია არა მხოლოდ, ინდივიდის ფსიქოლოგიური მდგომარეობით, არამედ მოვლენისადმი კოლექტიური გამოცდილებით. ტრავმული მოვლენა მაშინ ყალიბდება, როდესაც საქმე გვაქვს ისტორიულ მოვლენასა და ადამიანურ ბუნებას შორის წინაღმდეგობასთან (Alexander, 2012).

მილენიალებთან ინტერვიუების საშუალებით დგინდება, რომ 9 აპრილი მათთვის იყო 70 წლიანი ბატონობის წინააღმდეგ ხმის ამოღება. კერძოდ „ხალხმა ამ პერიოდში (1989 წელს) პირველად იგრძნო საკუთარი ძალა. მათ გაიაზრეს, რომ მართვის სადავეები მოდის არა ხელისუფლებიდან, არამედ ხალხიდან". ამ თაობის აღქმით „ეს გამარჯვება (1989წ. 9 აპრილი) დაკავშირებულია საქართველოს დღევანდელ თავისუფლებასთან". შესაბამისად 9 აპრილის მოვლენები მათთვის პოზიტიურ ცვლილებებთან უფრო ასოცირდება ვიდრე ტრაგედიასთან, თუმცა, მოვლენის აღქმაში ტკივილის და სინანულის განცდასაც არ უარყოფენ. ასევე, „GenZ"-ის თაობისგან განსხვავებით მილენიალების მეხსიერებაში 9 აპრილის მოვლენის შესახებ ინფორმაცია ჩნდება ოჯახის წევრების

მონაყოლისა და მათი დროის აქციების მიხედვით. მაგალითად, ერთ-ერთი რესპონდენტი აღნიშნავს, რომ: „ჩემს მეხსიერებაში 9 აპრილი შემოვიდა 7 ნოემბრის აქციის გამო, სადაც ამ მოვლენაზე გაჟღერდა ინფორმაცია“. ეს მიუთითებს, რომ მილენიალების პერიოდში სკოლაში 9 აპრილის განხილვას მნიშვნელოვანი როლი არ ენიჭებოდა. რაც გარკვეულწილად აისახა ამ თაობის „კოლექტიურ მეხსიერებაშიც“.

მილენიალები 9 აპრილისა და დღევანდელი მოვლენების შედარებისას გამოყოფენ რამდენიმე ასპექტს. კერძოდ, მათ გაუჩნდათ შიში, რომ მარტის აქციები რუსეთს აგრესიის, ან ინტერვენციის მიზეზად არ გამოეყენებინა ისე, როგორც 9 აპრილს მოიქცა. ამ თაობის წარმომადგენლებმა აღნიშნული მოვლენების შედარების საფუძველზე დაინახეს, რომ *„მოსახლეობა მუდმივი ბრძოლით დაიღალა“.* განმასხვავებელ ასპექტად კი, განიხილავენ ბრძოლის იდეას/მიზანს. კერძოდ, *„9 აპრილი ეს იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა, სადაც ხალხის მიზანი თავისუფლების მოპოვება იყო. ხოლო, 7-8 მარტის აქციები კი, თავისუფლების შენარჩუნებისთვის ბრძოლა იყო“.* გარდა ამისა, მათი შეფასებით 9 აპრილი ბევრად მასშტაბური და ერთიანი იყო, ვიდრე, საქართველოში ჩატარებული ბოლოდროინდელი აქციები. თუმცა, მათი მტკიცებით *„უფრო მნიშვნელოვანია თავისუფლების არ დაკარგვისთვის ბრძოლა, ვიდრე უმოქმედობის გამო დაკარგო სახელმწიფო და 70 წლის შემდეგ ბრძოლა იმისთვის რაც არ გქონია (იგულისხმება თავისუფლება)“*. ეს მიუთითებს, რომ მილენიალების თაობა ნაკლებად იდეალიზებულად უყურებს 9 აპრილის მოვლენას. განსაკუთრებით ამ ასპექტში იკვეთება 9 აპრილისადმი მილენიალების ამბივალენტური დამოკიდებულება. ერთის მხრივ, ისინი 9 აპრილის მონაწილე ადამიანებს ადანაშაულებენ, რომ თავის დროზე სახელმწიფოს დამოუკიდებლობისთვის არ იბრძოლეს, მეორეს მხრივ, მადლიერებას გამოხატავენ 9 აპრილის აქციაზე მყოფი ადამიანებისადმი, რომლებმაც საქართველოს კვლავ დაუბრუნა დამოუკიდებლობა. ვინაიდან, ამ თაობის შეხედულებით, რომ არა 9 აპრილი უბრალოდ მათ თავისუფლების აღქმაც კი არ ექნებოდათ. „იქ მყოფი (9აპრილის აქციაზე) ადამიანები ნამდვილად არიან გმირები და თანამედროვე საქართველოს მხსნელები“- ამბობს ერთ-ერთი მილენიალი ინტერვიუსას. ასევე, ამ თაობისთვის 9 აპრილი ერთგვარი გაკვეთილია, კერძოდ, “საქართველო აღარ უნდა ჩავარდეს მონობის მდგომარეობაში და რაც ჩვენს ღირებულებებთან, სახელმწიფოებრიობასთან წინააღმდეგობაში მოდის თავიდანვე უნდა ვთქვათ მასზე უარი”. მილენიალების შეფასებით სწორედ ამის მაგალითი იყო 7-8 მარტის აქციები. ამ თაობის აღქმით 9 აპრილი ნამდვილად ხალხის სიმამაცის გამოხატულება იყო, რომელიც მოსახლეობის დაღლილობამ განაპირობა. კერძოდ, ერთ-ერთი რესპონდენტი აღნიშნავს, რომ *„ეს ხალხი 70 წელი ცხოვრობდა მონობაში, სანამ ყელში არ ამოუვიდათ, ანუ ქამარმა ძალიან რომ მოუჭირათ, მხოლოდ მერე ამოიღეს ხმა“.* შესაბამისად ნათელია, რომ შედეგების დონეზე მილენიალები 9 აპრილს ისეთივე მნიშვნელობას არ ანიჭებენ, როგორც მაგალითად „GenZ“-ის თაობის წარმომადგენლები.

1989 წლის 9 აპრილი GenX-ის თაობის კოლექტიურ მეხსიერებაში

GenX-ის თაობის წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგების მიხედვით, ამ თაობაში 9 აპრილის შესახებ არსებობს „კულტურული ტრავმა“. კერძოდ, საქმე გვაქვს პ.შტომპკას(2004) „გამარჯვების ტრავმის თეორიის“, ასპექტებთან. X თაობის „კულტურული ტრავმის“ ასპექტები მათი მხრიდან

საყოველთაო უნდობლობაში, პოლიტიკურ აპათიაში, წარსულისადმი ნოსტალგიასა და ა.შ გამოიხატება. X თაობის წარმომადგენლები ერთხმად თანხმდებიან, რომ 9 აპრილი საქართველოს უახლოესი ისტორიის უპრეცედენტო მოვლენაა. ინტერვიუში აღნიშნავენ, რომ: „ეჰ... მაშინ ვიცოდით რისთვის ვიბრძოდით და საქართველოსთვის სიცოცხლის დათმობისთვისაც მზად ვიყავით". ამით მიუთითებენ იქ მყოფი ხალხის თავგანწირვაზე. აგრეთვე დღევანდელი პროტესტისადმი იმედგაცრუებასაც უსვამენ ხაზს. ასევე, გარკვეულწილად წარსულისადმი ნოსტალგიაც ჩანს. მათი აღქმის მიხედვით, 1989 წლის 9 აპრილი ერის გაერთიანების დღე არის. ამ დროს ქართველმა ხალხმა, არა მხოლოდ დაიცვა საკუთარი დამოუკიდებლობა, არამედ სხვა საბჭოთა რესპუბლიკებს დამოუკიდებლობისკენ ბრძოლის სტიმული მისცა. თუმცა, ამ თაობაში 9 აპრილისადმი ამბივალენტური დამოკიდებულება განსაკუთრებულად ჩანს. ამ მოვლენაზე საუბრისას აქვთ სიამაყის განცდა (ეს გამოიხატება არავერბარულ ქცევებშიც- თვალების გაფართოება, ტონის უეცარი ცვლილება და სხვა), რადგან უშუალოდ მათ დაწერეს დამოუკიდებელი საქართველოს ისტორია. დროის სვლასა და მოვლენების გააზრებასთან ერთად სევდისა და ტკივილის განცდაც უჩნდებათ. კერძოდ, ერთ-ერთი რესპონდენტი აღნიშნავს, რომ: *„დამოუკიდებლობის მოპოვების მერე თავი სამყაროს შემოქმედი მეგონა, რადგან იმ აქციაზე ვიდექი. აი დღეს კი, ძალიან მენანებიან ის ადამიანები, რომლებიც იქ დაშავდნენ და გარდაიცვალნენ".*

ორივე თაობისგან განსხვავებით X თაობის წარმომადგენლებს 9 აპრილის შესახებ მეხსიერება პირადი გამოცდილებების, იმუამინდელი სოციუმის გავლენისა და საქართველოს თანამედროვე მოცემულობის საფუძველზე უყალიბდებათ. X თაობის რესპონდენტი აღნიშნავს, რომ *„აქციაზე წასვლას დედაჩემი მიკრძალავდა საშიში იყო მაშინ, იქ მისვლა (აქციაზე) მაგრამ, ჩემი კურსელები არ მომეშვნენ. მაშინ, ვერც ვიაზრებდი ამ მოვლენის მნიშვნელობას. რეალურად ჩემი იქ ყოფნის შედეგი დავინახე 1991 წელს, როდესაც დამოუკიდებლობის აქტი მივიღეთ".*

X თაობის წარმომადგენლებისთვის საქართველოში ამ ეტაპზე მიმდინარე მოვლენები არის დადასტურება იმისა, რომ მოსახლეობამ 9 აპრილს სისხლით მოპოვებული შედეგების დაცვა ვერ შეძლო. ძირითადად მათში მსგავსი აღქმა განაპირობებს ნიჰილიზმსა და იმედგაცრუებას. კერძოდ, ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით: *„მარტის აქციებს რომ ვუყურებდი საკუთარ თავს ვეკითხებოდი- ღირდა 9 აპრილი ადამიანების ტანჯვად, თუ დღეს ისევ დამოუკიდებლობისთვის უნდა გვებრძოლა? ისე დავიღალე ამ წრეზე სიარულით, ზოგჯერ წინააღმდეგიც კი ვარ ჩემი შვილები აქციებზე წავიდნენ. მეშინია რამე არ დაემართოთ".* X თაობის შეფასებით დღევანდელი პროტესტის/ აქციების მთავარი გამოწვევაა, რომ ხალხს საერთო მიზანი არ აქვს და „თოკს ყველა თავის მხარეს ექაჩება ".

აღსანიშნავია, რომ X თაობის წარმომადგენლები 9 აპრილის შედეგად სახელმწიფო დამოუკიდებლობის მოპოვების გარდა განიხილავენ მათ ქცევაში ყოველდღიურ ცვლილებასაც. მაგალითად, მათ აქვთ აქციაში მონაწილეობის შიშიც, ასევე ნაკლებად პოზიტიური მოლოდინები ქვეყანაში ცვლილებების განხორციელების თვალსაზრისით. ეს დაკავშირებულია მათ იმედგაცრუებასთან, რაც იწვევს ამ თაობაში ერთგვარ აგრესიას, არ ენდობიან მთავრობასა და

პოლიტიკურ ცვლილებას. საბოლოოდ, კულტურული ტრავმის ნიშნებიც იკვეთება. მიუხედავად მათ მიერ ნეგატიური ასპექტების აღქმისა ამბობენ, რომ მთავრი რასაც გრძნობენ შვილების წინაშე ვალმოხდილობაა.

დასკვნა

სამივე თაობა: GenZ, მილენიალები და GenX 9 აპრილის ფენომენს ინდივიდუალურად აღიქვამს. ასევე, მათ მოვლენის შესახებ დამოკიდებულებებისა და შეხედულების ჩამოყალიბების განსხვავებული აქტორები ჰყავთ. მეტიც, თაობების ზრდასთან ერთად მცირდება საზოგადოებაში 9 აპრილში ტრაგედიის და სევდის ელემენტების აღქმის ტენდენცია. GenZ-ის თაობისთვის 9 აპრილი მოტივაციაა. ვინაიდან, ეს მოვლენა მათ ახალგაზრდების ძალას უჩვენებს. GenX-ისთვის კი 9 აპრილი ერთიანობის სიმბოლოა, თუმცა საქართველოში დღეს არსებული ვითარება მათში იმედგაცრუებას იწვევს. ხოლო, მილენიალები ერთის მხრივ წინა თაობის მადლიერები არიან, რათა 9 აპრილის გზით დამოუკიდებლობას მიაღწიეს. მეორეს მხრივ კი, გულისწყრომას გამოხატავენ, რომ ამ ადამიანებმა სსრკ-ისადმი წინააღმდეგ მანამ არ გაილაშქრეს, სანამ გამძლეობის ზედა ზღვარს არ მიაღწიეს. მოვლენისადმი, როგორიც არის ტრაგედიის აღქმა საზოგადოებაში, აძლიერებს სკეპტიციზმს- არჩევნებისადმი, პროტესტისადმი, სახელმწიფო ინსტიტუტებისადმი და ა.შ.(Stompka, 2004).

კვლევის მონაცემების ანალიზის საფუძველზე მთავარი მიგნებაა, რომ თაობების ზრდასთან ერთად მცირდება 1989 წლის 9 აპრილის შედეგებთან დაკავშირებით მოსახლეობის ფრუსტრირება. კერძოდ, X-თაობის წარმომადგენლებში 9 აპრილი აღქმულია, როგორც კულტურული ტრავმა (Stompka, 2004). ეს ტენდენცია გარკვეულწილად ჩანს მილენიალებშიც. თუმცა, GenZ-ის თაობაში მოვლენასთან დაკავშირებით არ შეინიშნება იმედგაცრუების ასპექტები და იგი კულტურულ ტრავმადაც არ მიიჩნევა. ეს მიუთითებს საქართველოში 1989წ. 9 აპრილის მოვლენასთან დაკავშირებით „თაობების ეფექტის“(Schuman&Scott,1989) თეორიის მახასიათებლების გამოვლენაზე. კერძოდ, ერთის მხრივ, სხვადასხვა თაობა იხსენებდა განსხვავებულ მოვლენებსა და ცვლილებებს 9 აპრილთან დაკავშირებით. მეორეს მხრივ, კვლევის შედეგები განსხვავდებოდა კოჰორტების მიხედვით (Schuman&Scott,1989).

დამატებით, უნდა აღინიშნოს რომ სამივე თაობის შემთხვევაში 9 აპრილი ხვდება, როგორც „ყოველდღიურ“(Assmann. 1995), ისე „კულტურულ მეხსიერებაში“(Assmann. 1995). ასევე, GenX-ის, მილენიალებისა და GenZ-ის შემთხვევაში 9 აპრილის შესახებ კოლექტიურ მეხსიერებას ახასიათებს: 1. თვითრეფლექსურობა-თაობების მიერ ხდება ხელახალი ინტერპრეტაცია, მოვლენის კრიტიკა; 2. საკუთარი იმიჯის ერთგვარი რეფლექსია, რომელიც ჯგუფის/ თაობის სოციალურ სისტემას ასახავს.

ბიბლიოგრაფია

კაპიტანოვი.ლ.(2019)„1989: მეხსიერების ცვლილება“. Heinrich Boll Stiftung; თბილისი; https://ge.boell.org/sites/default/files/levan_kapitanovis_kvleva.pdf

„მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობა“.(2021). საქასტატი; https://www.geostat.ge/ka/modules/categories/320/gardatsvaleba

რუხაძე ვ.(2008). კოლექტიური მეხსიერება. ბოლო ნახვა 02.20.2023; https://iberiana.wordpress.com/iberiana/rukhadze2/

საქართველოს მთავრობა.(2004).“ მაუწყებლობის შესახებ“; https://matsne.gov.ge/ka/document/view/32866?publication=66

სართანია ქ. (2019). 1989 წელი: საპროტესტო აქციები და მათი გავლენამ საქართველოს უახლეს ისტორიაზე. თბილისი: ჰაინრიც ბიოლის ფონდი, თბილისი, სამხრეთ კავკასია. https://ge.boell.org/ka/2019/04/25/1989-celi-saprotesto-akciebi-da-mati-gavlena-sakartvelos-uaxles-istoriaze

Assmann. J(1995). “Collective Memory and Cultural Identity”. New German Critique. Duke University Press. pp. 125-133 https://www.jstor.org/stable/488538

Alexander. T.l (2004). Cultural Trauma and Collective Identity.University of California Press. Berkeley, Los Angeles , London;

Foner, E. (2002). Who Owns History? New York: Hill and Wang.

Gudaitė &Stein. (2014). Confronting Cultural Trauma: Jungian Approaches to Understanding and Healing. Spring Journal; https://www.goodreads.com/book/show/23116756-confronting-cultural-trauma

Hans M. (1976).“Identity and the Sacred”. Oxford: Blackwell;

Laurent L. Mercy. A.(2015).„Collective Memory, Social Psychology of“. International Encyclopedia of the Social & Behavioral Sciences Elsevier Bruxelles, Belgium. pp.194-199; https://www.sciencedirect.com/science/article/pii/B9780080970868240464

Nora, P. (1989). Between Memory and History: Les Lieux de Mémoire. *Representations*, pp:7-24.

Schuman.H. &. Scott. J(1989). “Generations and Collective Memories”. American Sociological Review. American Sociological Association. pp. 359-381; https://t.ly/O5Tg

Wertsch.v.j. & Boyer.P .(2009).”Memory in Mind and Culture”. Cambridge University Press. New York;

Zerubavel, E.(2003).Calendars and History: A Comparative Study of the Social Organization of National Memory. In J. K. Olick (Ed.), States of Memory: Continuities, Conflicts, and Transformations in National Retrospection. Duke University Press. Durham and London;